საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11740/01
10/12/2020

11740-01-2-202012101801

ინდივიდუალურ მეწარმე გენადი ჯორბენაძეს (პ/ნ 61002012462)

ბატონო გენადი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 2 დეკემბრის N18740 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქედლებში საბურავების გადამამუშავებელი და რეზინის ფილების დამამზადებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- საწარმოს წარმადობის შესახებ;
- წყლის გამოყენების შესახებ (საწარმოო პროცესში, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით);
- წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობის შესახებ;
- საწარმოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობის შესახებ;
- საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და ტრანსპორტირების საკითხების შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედების შესახებ;
- საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (საყოფაცხოვრებო, სახიფათო, არასახიფათო) და მათი შემდგომი მართვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს მოწყობა-ექსლუატაციისას დაგეგმილია თუ არა მცენარეულ საფარზე ზემოქმედება, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 41 მეტრით, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით, დაახლოებით 6 მეტრში. შესაბამისად, მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის ახლოს არ მდებარეობს დაცული ტერიტორიები, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-

აღმოსავლეთით, დაახლოებით 290 მეტრში მდებარეობს ზურმუხტის ქსელის დაცული ტერიტორია (გოდერძი GE0000026). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის შედეგად დაცულ ტერიტორიაზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი;

- საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მათზე ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის გენ-გეგმა, დანადგარების განთავსების სქემის მითითებით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, წარმოებისთვის განკუთვნილი დანადგარები განთავსდება დახურულ შენობაში. დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილია თუ არა სამშენებლო სამუშაოები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილია ჩინური წარმოების დანადგარების გამოყენება, რომლებიც 5 ტონა მოცულობისაა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს დანადგარების ჩამონათვალი და მათი ტექნიკური მახასიათებლები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული და სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე